ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 40 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ.

ბილეთი №1

თეორიული საკითხი ფასდება 20 ქულით, ყოველი ტესტი – 1 ქულით, კაზუსი – 10 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კაზუსის ამოსახსნელად.

1. ცალმხრივი გარიგებები.

2. შეარჩიეთ სწორი პასუხი ქვემორე ტესტებზე:

№1

ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამოქალაქო უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ, არის:
ა) განცხადება.
ბ) სარჩელი.
გ)გადაწყვეტილება.
დ)გარიგება.

№2

ცალმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისთვის საჭიროა:
ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის ნებართვა.
ბ) ერთი მხარის ნების გამოვლენა.
გ)ერთი მხარის ნების გამოვლენა იმ პირობით, რომ მეორე მხარე შემდგომში მოიწონებს მას.
დ) ორივე მხარის თანხმობა.

№3

გარიგებები შეიძლება იყოს:
ა) მხოლოდ ცალმხრივი და ორმხრივი.
ბ) მხოლოდ ორმხრივი და მრავალმხრივი.
გ)ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი.
დ)მხოლოდ ცალმხრივი და მრავალმხრივი.

№4

ცალმხრივ გარიგებებს განეკუთვნება:
ა) დაზღვევის ვალდებულება.
ბ) დავალების ვალდებულება.
გ)მიბარების ვალდებულება.
დ)უარი მემკვიდრეობაზე.

№5

ცალმხრივი ნების გამოვლენა წარმოშობს მოვალეობებს:
ა) პირისთვის, რომელიც ავლენს ნებას.

ბ) სხვა პირებისთვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
გ)სხვა პირებისთვის, თუ ისინი მოიწონებენ ნების გამომვლენი პირის მოქმედებას.
დ)პირებისთვის, რომლებიც „ა" და „გ" პუნქტებშია მითითებული.

№6

ორმხრივ გარიგებებს განეკუთვნება:
ა) მინდობილობის გაცემა.
ბ) ხელშეკრულების შესრულება.
გ)ნასყიდობის ხელშეკრულება.
დ) კონკურსის საჯაროდ გამოცხადება ომის წლების საუკეთესო სიმღერებზე.

№7

ორმხრივ გარიგებად ჩაითვლება გარიგება, რომლის დადებისთვის აუცილებელია:
ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის წინასწარი თანხმობა.
ბ) ორი მხარის შეთანხმებული ნების გამოვლენა.
გ)ერთი მხარის ნების გამოვლენა მეორე მხარის ინტერესებისთვის.
დ) მესამე მხარის ნების გამოვლენა გარიგების დადებისათვის ორ მხარეს შორის.

№8

ორმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია:
ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის წინასწარი თანხმობა.
ბ) ორივე მხარის შეთანხმებული ნების გამოვლენა.
გ)ერთი მხარის ნების გამოვლენა მეორე მხარის ინტერესებისთვის.
დ)მესამე მხარის ნების გამოვლენა დანარჩენ ორ მხარეს შორის გარიგების დასადებად.

№9

გარიგებები იდება:
ა) მხოლოდ სანოტარო ფორმით.
ბ) მხოლოდ უბრალო წერილობით ფორმით.
გ)მხოლოდ ზეპირად, მაგრამ ორი მოწმის თანდასწრებით.
დ) ზეპირად, წერილობითი ფორმით და კონკლუდენტური მოქმედებით.

№10

გარიგება იურიდიული პირებისა ურთიერთშორის და მოქალაქეებთან **უნდა** დაიდოს **აუცილებლად:**
ა) ზეპირად.
ბ) დუმილით.
გ) უბრალოდ წერილობითი ფორმით.
დ) ნებისმიერი ფორმით.

3. კაზუსი

კორა კორსაველმა გადაწყვიტა თავის დ..ს.ბ.ვილს – ქეთი ხუროშვილს აჩუქოს ოროთახიანი ბინა. ხუროშვილმა მიმართა საგადასახადო ინსპექტორს განმარტებისთვის – რა გადასახადის გადახდა მოუწევდა მას, თუ ჩუქების ხელშეკრულება დაიდება. როცა ხუროშვილმა გაიგო, რომ ნასყიდობის დროს გადასახადი უფრო დაბალია, მან კორსაველი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე დაიყოლია.

1. ნების გამოვლენა და მისი განმარტება.

2. შეარჩიეთ სწორი პასუხი ქვემორე ტესტებზე:

№1

გარიგებები იდება:
ა) მხოლოდ სანოტარო ფორმით.
ბ) მხოლოდ უბრალო წერილობით ფორმით.
გ)მხოლოდ ზეპირად, მაგრამ ორი მოწმის თანდასწრებით.
დ) ზეპირად, წერილობითი ფორმით და კონკლუდენტური მოქმედებით.

№2

არარა გარიგება ბათილად ჩაითვლება:
ა) სასამართლოს მიერ ბათილად აღიარების მომენტიდან.
ბ) ნების გამოვლენის მომენტიდან.
გ)გარიგების შედეგების ცალმხრივი რესტიტუციის მომენტიდან.
დ)გარიგების შედეგების ორმხრივი რესტიტუციის მომენტიდან.

№3

გარიგების ბათილად აღიარების შედეგებს განეკუთვნება:
ა) თითოეული მხარის მოვალეობა – დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგების შედეგად მიიღო.
ბ) ბრალეული მხარისთვის დაზარალებულის სასარგებლოდ ჯარიმის დაკისრება.
გ)ბრალეული პირისთვის გარიგების შედეგად წარმოიშობა უფლებების ჩამორთმევა.
დ)ბრალეული პირის მოვალეობა ბოდიში მოუხადოს დაზარალებულ მხარეს.

№4

სასყიდლიანია გარიგება:
ა) ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის უფლებას შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობა.
ბ) ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის საპასუხო შესრულება.
გ)ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებებს, გადაიხადოს ფული, არ შეესაბამება საპასუხო შესრულება.
დ)ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის ფულადი ნაკისრი ტოლფასი შესრულება.

№5

უსასყიდლო გარიგებაა:
ა) ნარდობა.
ბ) კონკურსში ჯილდოს საჯაროდ დაპირება.
გ)სესხი.
დ) „ბ" და „გ" პუნქტებით გათვალისწინებული გარიგებები.

№6

გარიგების უბრალო წერილობითი ფორმის დაუცველობა დაკის შემთხვევაში მხარეებს ართმევს შესაძლებლობას გარიგებისა და მისი პირობების დასადასტურებლად დაეყრდნონ:
ა) წერილობით მტკიცებულებებს.
ბ) მოწმეთა ჩვენებებს.
გ) ექსპერტების დასკვნას.
დ) ნივთიერ მტკიცებულებას.

№7

როცა საგადასახადო ინსპექტორმა შეიტყო, რომ ბინა ხუროშვილის სახელზეა გაფორმებული, ჯერ ნუქების წესით გადასულ ქონებაზე გადასახადის გადახდა მოითხოვა, მაგრამ როცა აღმოჩნდა, რომ დადებულია ნასყიდობა, მან მოამზადა დოკუმენტები გარიგების ბათილად ცნობისა და მთელი მიღებული შემოსავლის სახელმწიფოს ხაზინაში ჩარიცხვის შესახებ.

სწორია თუ არა საგადასახადო ინსპექტორის მოქმედება?

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 40 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ.

ბილეთი №2

თეორიული საკითხი ფასდება 20 ქულით, ყოველი ტესტი – 1 ქულით, კაზუსი – 10 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კაზუსის ამოსახსნელად.

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 40 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ.

ბილეთი №3

თეორიული საკითხი ფასდება 20 ქულით, ყოველი ტესტი – 1 ქულით, კაზუსი – 10 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კაზუსის ამოსახსნელად.

1. **გარიგების ფორმა.**

2. **შეარჩიეთ სწორი პასუხი ქვემორე ტესტებზე:**

№1

შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები:
ა) უცილოდ ბათილი გარიგებებია.
ბ) მერყეევად ბათილი გარიგებებია.
გ)ნაწილობრივ ბათილი გარიგებებია.
დ)საცილო გარიგებებია.

№2

შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები ბათილია, როგორც:
ა) კანონის, ზნეობის, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები.
ბ) ფორმის დაუცველად დადებული გარიგებები.
გ)ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებები.
დ)ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგებები.

№3

შეცდომად ჩაითვლება:
ა) შეცდომა გარიგების ტიპის არჩევასა და გარიგების შინაარსში.
ბ) შეცდომა საგნის თვისებაში, შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში.
გ)შეცდომა უფლებაში, შეცდომა მოტივში.
დ) „ა", „ბ" და „გ" პუნქტებით გათვალისწინებული არსებითი შეცდომები.

№4

მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგების შეცილების ვადა შეადგენს:
ა) ერთ თვეს.
ბ) ერთ წელს.
გ)ექვს თვეს.
დ) სამ წელს.

№5

შეცდომის საფუძველზე დადებული გარიგების შეცილების ვადა შეადგენს:
ა) ერთ თვეს.
ბ) ერთ წელს.

რადგან წიგნები იყო ბევრი და მათი ერთდროულად გადატანა ვერ შეძლო, მხცოვან პროფესორს უნივერსიტეტში წიგნები ნაწილ-ნაწილ მიჰქონდა. პროფესორი ისე გარდაიცვალა, რომ უნივერსიტეტში ყველა წიგნი ვერ მიიტანა. მისმა ვაჟიშვილმა, რომელიც კორინთელის ერთადერთი კანონისმიერი მემკვიდრე იყო, ფაკულტეტის დეკანის თხოვნაზე, დარჩენილი წიგნებიც გადმოეცა, უარით უპასუხა. პროფესორის ვაჟმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება პროფესორსა და უნივერსიტეტს შორის არ ყოფილა სათანადო წესით გაფორმებული.

სასამართლოში, სადაც მოცემული დავა იხილებოდა, უნივერსიტეტმა წარადგინა იმ წიგნების ბალანსზე აყვანის აქტი, რომელიც კორინთელმა უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა.

როგორ უნდა გადაწყდეს წარმოქმნილი დავა?

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე წინიძე
გამოცდის შეფასება: 40 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ.

ბილეთი №4

თეორიული საკითხი ფასდება 20 ქულით, ყოველი ტესტი – 1 ქულით, კაზუსი – 10 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კაზუსის ამოსახსნელად.

1. გარიგების ფორმის დაუცველობის შედეგები.

2. შეარჩიეთ სწორი პასუხი ქვემორე ტესტებზე:

№1

იძულებით დადებულია გარიგება, თუ ნების გამომვლენ პირზე ზემოქმედება ხორციელდება:
ა) ფიზიკურად ან მუქარით.
ბ) სასამართლოში მიმართვის მუქარით.
გ)მართლსაწინააღმდეგო მიზნით და მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით.
დ)„ა" და „გ" პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში.

№2

გ)ექვს თვეს.
დ) სამ წელს.

№6

ფორმის დაუცველად დადებული გარიგება შეიძლება იყოს ნამდვილი, თუ:
ა) არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ გარიგების დადების ფაქტს.
ბ) გარიგების ფასი არ აღემატება ათას ლარს.
გ)გარიგების საგანია მოძრავი ქონება.
დ) ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ხარვეზი, რომელიც მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს.

№7

მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დარღვევას გარიგების ბათილობა მოჰყვება, თუ მხარეებმა ფორმა შეარჩიეს
ა) ნების გამოვლენის სერიოზულობის უზრუნველსაყოფად.
ბ) გარიგებიდან გამომდინარე უფლებების ნათელსაყოფად.
გ)გარიგების დადების მტკიცებულებად.
დ) გარიგების ნამდვილობის წინაპირობად.

№8

ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებებად ჩაითვლება:
ა) ხელშეკრულებები, რომლებითაც მეუღლეები თავს არიდებენ შვილების აღზრდის მოვალეობას.
ბ) შეთანხმება, რომლითაც პირი თავის თავზე იღებს სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულს.
გ)ხელშეკრულებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის სამართლებრივ მდგომარეობას.
დ)მოსწავლის მიერ მასწავლებისთვის საჩუქრის მიტანა.

№9

ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო ბათილ გარიგებად ჩაითვლება:
ა) შრომის ხელშეკრულების დადების აკრძალვა მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით.
ბ) თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემა.
გ)მძიმე ავადმყოფობისას დეფიციტური წამლის შეძენა აშკარად შეუსაბამოდ მაღალ ფასებში.
დ) მოსწავლის მიერ მასწავლებისთვის საჩუქრის მიტანა.

№10

თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით და ნება გამოვლინდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, მაგრამ წარმოდგენილი პირის აშკარა ძალისხმევით, მესამე პირს კეთილსინდისიერად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის შესახებ გარიგების სამართლებრივი შედეგები უნდა იტვირთოს:
ა) ნების უშუალო გამომვლენმა ანუ წარმომადგენელმა.
ბ) მესამე პირმა.
გ)წარმოდგენილმა პირმა.
დ)როგორც წარმოდგენილმა, ისე წარმომადგენელმა.

3. კ ა ზ უ ს ი

პროფესორმა კორინთელმა ფაკულტეტს აჩუქა სპეციალური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რომელსაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე აგროვებდა. ჩუქების შესახებ მან ხმამაღლა განაცხადა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ასევე ინტერვიუში, რომელიც მისცა უნივერსიტეტის გაზეთს.

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში“
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 40 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ.

ბილეთი №5

თეორიული საკითხი ფასდება 20 ქულით, ყოველი ტესტი – 1 ქულით, კაზუსი – 10 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კაზუსის ამოსახსნელად.

1. გარიგებები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს, ზნეობას ან საჯარო წესრიგს.

2. შეარჩიეთ სწორი პასუხი ქვემორე ტესტებზე:

№1

არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული ცალმხრივი გარიგება:

ა) მერყევად ბათილია.
ბ) ნაწილობრივ ბათილია.
გ)შეფარდებით ნამდვილია.
დ)ბათილია.

№2

თუ ნების გამოვლენა განხორციელდა ქმედუნარიანობის სასამართლო წესით შეზღუდვამდე, მაგრამ დადგინდა, რომ ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი მაშინაც არსებობდა, ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის:

ა) საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილება.
ბ) ვინმეს თანხმობა არაა საჭირო.
გ)საჭიროა მზრუნველის ნებართვა.
დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

№3

მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას, არასრულწოვანთან დადებულ ხელშეკრულებაზე, ვიდრე მას წარმომადგენელი მოიწონებს, თუ

ა) მან არ იცოდა კონტრაჰენტის არასრულწლოვანობის შესახებ.
ბ) მან იცოდა კონკრაჰენტის არასრულწლოვანობის შესახებ.
გ)მან იცოდა კონტრაჰენტის არასრულწლოვანობის შესახებ და კონტრაჰენტი ატყუებდა, რომ წარმომადგენელი თანახმა იყო.
დ)მან იცოდა კონტრაჰენტის არასრულწლოვანობის შესახებ, მაგრამ მიიჩნევდა, რომ წარმომადგენელი თანახმა იყო.

№4

თუ შპს-ს დირექტორის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია საერთო კრების თანხმობაზე, მაშინ თანხმობა არის:

ა) გარიგების შემადგენელი ელემენტი.

ბ) დამოუკიდებელი გარიგება.
გ)დამოუკიდებელი ცალმხრივი გარიგება.
დ) დამოუკიდებელი მრავალმხრივი გარიგება.

№5

გარიგება ჩაითვლება გადადების პირობით დადებულებად, თუ მხარეებმა დაადგინეს, რომ:

ა) უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა იმ გარემოებებზე დამოკიდებული, რომელთა შესახებ ცნობილი არ არის, დადგება იგი თუ არა.

ბ) უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია განსაზღვრული პირობის დადგომაზე.

გ)უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა და შეწყვეტა განსაზღვრული პირობის დადგომაზეა დამოკიდებული.

დ) უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა, რაც დამოკიდებულია განსაზღვრული პირობის დადგომაზე.

№6

გარიგება ჩაითვლება გაუქმების პირობით დადებულად, თუ მხარეებმა მიზნად დაისახეს:

ა) უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, რომ განსაზღვრული პირობის არ დადგეს.

ბ) უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა, რომელიც დამოკიდებულია გარემოებაზე, რომლის შესახებაც უცნობია, დადგება იგი თუ არა.

გ)უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა, რომელიც დამოკიდებულია გარემოებებზე, რომელთა შესახებაც ცნობილია, რომ იგი დადგება.

დ) უფლებება-მოვალეობების წარმოშობა და შეწყვეტა, რომელიც დამოკიდებულია გარემოებებზე, რომელთა შესახებ უცნობია, დადგება თუ არა.

№7

გარიგება, დადებული იმ განზრახვის გარეშე, რომ შესაბამისი სამართლებრივი შედეგები დადგეს, იწოდება:

ა) მოჩვენებითად.
ბ) თვალთმაქცურად.
გ) ფიქტიურად.
დ) კაბალურად.

№8

გარიგება, დადებული სხვა გარიგების დასაფარავად, იწოდება:

ა) თვალთმაქცურ გარიგებად.
ბ) საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ მიმართულ გარიგებად.
გ) ზნეობის საწინააღმდეგოდ მიმართულ გარიგებად.
დ) მოჩვენებით გარიგებად.

№9

გარიგება, დადებული იურიდიული პირის მიერ მისი საქმიანობის მიზნის საწინააღმდეგოდ, შეიძლება ბათილად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარემ:

ა) იცოდა გარიგების უკანონობის შესახებ.
ბ) არ იცოდა გარიგების უკანონობის შესახებ.

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში“
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 40 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ.

ბილეთი №6

თეორიული საკითხი ფასდება 20 ქულით, ყოველი ტესტი – 1 ქულით, კაზუსი – 10 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კაზუსის ამოსახსნელად.

1. ნების ნაკლით დადებული გარიგებები.

2. შეარჩიეთ სწორი პასუხი ქვემორე ტესტებზე:

№1

გარიგებები იდება:
ა) მხოლოდ სანოტარო ფორმით.
ბ) მხოლოდ უბრალო წერილობით ფორმით.
გ)მხოლოდ ზეპირად, მაგრამ ორი მოწმის თანდასწრებით.
დ) ზეპირად, წერილობითი ფორმით და კონკლუდენტური მოქმედებით.

№2

არარა გარიგება ბათილად ჩაითვლება:
ა) სასამართლოს მიერ ბათილად აღიარების მომენტიდან.
ბ) ნების გამოვლენის მომენტიდან.
გ)გარიგების შედეგების ცალმხრივი რესტიტუციის მომენტიდან.
დ)გარიგების შედეგების ორმხრივი რესტიტუციის მომენტიდან.

№3

გარიგების ბათილად აღიარების შედეგებს განეკუთვნება:
ა) თითოეული მხარის მოვალეობა – დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგების შედეგად მიიღო.
ბ) ბრალეული მხარისთვის დაზარალებულის სასარგებლოდ ჯარიმის დაკისრება.
გ)ბრალეული პირისთვის გარიგების შედეგად წარმოიშობა უფლებების ჩამორთმევა.
დ)ბრალეული პირის მოვალეობა ბოდიში მოუხადოს დაზარალებულ მხარეს.

№4

სასყიდლიანია გარიგება:
ა) ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის უფლებას შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობა.
ბ) ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის საპასუხო შესრულება.
გ)ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებებს, გადაიხადოს ფული, არ შეესაბამება საპასუხო შესრულება.
დ)ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის ფულადი ნაკისრი ტოლფასი შესრულება.

№5

უსასყიდლო გარიგებაა:

გ) არ შეიძლება სცოდნოდა გარიგების უკანონობის შესახებ.
დ) თავს იჭერდა ისე, რომ გარიგების უკანონობის შესახებ არ იცოდა.

№10

უცილოდ ბათილი გარიგებები:

ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად.
ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილი.
გ)ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს.
დ) ბათილია დადების მომენტიდანვე და გამიზნულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

3. კ ა ზ უ ს ი

ბიკენტი ბოტკოველის ცოლმა ქმრისაგან მოითხოვა ხელწერილი იმის შესახებ, რომ იგი არ დადებდა არცერთ გარიგებას მისი თანხმობის გარეშე.
ამ ზომას ცოლმა მიმართა იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინა ქმარზე, რომელიც ხშირად ყიდდა ხოლმე ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილ ქონებას.

1. დასაშვებად მიიჩნევს თუ არა სამოქალაქო კანონმდებლობა ისეთი გარიგების დადებას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ცოლმა და ქმარმა დადეს?
2. აქვს თუ არა იურიდიული ძალა ხელწერილს, რომელიც ბოტკოველმა დადო?

3. დასაბუთებულია თუ არა ბოტკოველის ცოლის მოქმედება კანონმდებლობის თვალსაზრისით მოცემულ გარიგებაში?

დააბუთეთ თქვენი პასუხი.

ხელშეკრულებაში მითითებული თანხა. მემკვიდრეებმა უარი თქვეს და სასამართლოს მიმართეს ვიოლინოს დაბრუნების მოთხოვნით.

რა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს სასამართლომ?

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თეოდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 40 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ.

ბილეთი №7

თეორიული საკითხი ფასდება 20 ქულით, ყოველი ტესტი – 1 ქულით, კაზუსი – 10 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კაზუსის ამოსახსნელად.

1. ბათილი გარიგებები.

2. შეარჩიეთ სწორი პასუხი ქვემორე ტესტებზე:

№1

ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამოქალაქო უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ, არის:
ა) განცხადება.
ბ) სარჩელი.
გ)გადაწყვეტილება.
დ)გარიგება.

№2

ცალმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისთვის საჭიროა:
ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის ნებართვა.
ბ) ერთი მხარის ნების გამოვლენა.
გ)ერთი მხარის ნების გამოვლენა იმ პირობით, რომ მეორე მხარე შემდგომში მოიწონებს მას.
დ) ორივე მხარის თანხმობა.

№3

გარიგებები შეიძლება იყოს:
ა) მხოლოდ ცალმხრივი და ორმხრივი.

ა) ნარდობა.
ბ) კონკურსში ჯილდოს საჯაროდ დაპირება.
გ)სესხი.
დ) „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული გარიგებები.

№6

გარიგების უბრალო წერილობითი ფორმის დაუცველობა დავის შემთხვევაში მხარეებს ართმევს შესაძლებლობას გარიგებისა და მისი პირობების დასადასტურებლად დაეყრდნონ:
ა) წერილობით მტკიცებულებებს.
ბ) მოწმეთა ჩვენებებს.
გ) ექსპერტების დასკვნას.
დ) ნივთიერ მტკიცებულებას.

№7

კაუზალურ გარიგებებს განეკუთვნება:
ა) სესხის ხელშეკრულება.
ბ) კონოსამენტი.
გ)თამასუქი.
დ) ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი.

№8

აბსტრაქტულ გარიგებებს განეკუთვნება:
ა) საკრედიტო ხელშეკრულება.
ბ) თამასუქი.
გ)საბანკო ანაბრის ხელშეკრულება.
დ)საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება.

№9

გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლები მითითებულია:
ა) მთავრობის დადგენილებებში.
ბ) პრეზიდენტის ბრძანებულებებში.
გ)სამოქალაქო კოდექსში.
დ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

№10

გარიგება ბათილად იქნება აღიარებული:
ა) მისი ცალმხრივი რესტიტუციის მომენტიდან.
ბ) მისი ორმხრივი რესტიტუციის მომენტიდან.
გ)სასამართლოს მიერ ამ გარიგების ბათილად აღიარების მომენტიდან.
დ) მისი დადების მომენტიდან.

3. კაზუსი

კონსერვატორიის პროფესორმა, რომელსაც სტრადივარიუსის ვიოლინო ჰქონდა, ისურვა, რომ ცნობილი იტალიელი ოსტატის მიერ გაკეთებული ეს იშვიათი ნივთი გადასულიყო მისი ყველაზე ნიჭიერი სტუდენტის საკუთრებაში.

პროფესორმა იცოდა, რომ ძვირფასი ნივთის გასხვისება მისი ოჯახის წევრების უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამიტომ პროფესორმა სტუდენტთან მარტივი წერილობითი ფორმით დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა ვიოლინოს სანაცვლოდ არავითარი თანხა არ აუღია.

აღნიშნულის შესახებ იცოდა რა ახალგაზრდა მევიოლინის ორმა ამხანაგმა, პროფესორის სიკვდილის შემდეგ მათ ყველაფერი ოჯახის წევრებს შეატყობინეს. მემკვიდრეებმა ახალგაზრდას ვიოლინოს უკან დაბრუნება მოსთხოვეს, რაზეც ვიოლინოს მფლობელმა უარი განაცხადა და მემკვიდრეებს შესთავაზა პროფესორთან დადებულ

იძულებით დადებულია გარიგება, რომელიც მომდინარეობს:
ა) გარიგების მონაწილისაგან.
ბ) ნებისმიერი დაინტერესებული პირისაგან.
გ)ნებისმიერი პირისაგან.

№3

ფარდობითად ბათილია გარიგებები, რომლებიც:
ა) მთლიანობაში ნამდვილია, მხოლოდ მისი ესა თუ ის ნაწილია ბათილი.
ბ) მთლიანობაში ნამდვილია, მაგრამ ბათილია ამა თუ იმ პირის ან პირთა მიმართ.
გ)მთლიანობაში ბათილია, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს.
დ)დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად.

№4

შეზღუდული ქმედუნარიანი პირის ნების გამოვლენა ნამდვილია:
ა) კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში.
ბ) თუ არსებობს მისი მატერიალური სარგებელი.
გ)თუ არსებობს მისი უფლებრივი სარგებელი, ნებადართული სახსრების განკარგვა, წვრილმანი ყოფითი გარიგებები.
დ) „ა" და „ბ" პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

№5

უცილოდ ბათილი გარიგებები:
ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად.
ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილი.
გ)ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს.
დ) ბათილია დადების მომენტიდანვე და გამიზნულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

№6

მერყევად ბათილი გარიგებები:
ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად.
ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილი.
გ)ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს.
დ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალა არა აქვს კონკრეტული პირების მიმართ.

№7

ნაწილობრივ ბათილი გარიგებები:
ა) ნამდვილია მთლიანობაში, მაგრამ იურიდიული ძალა არ აქვს ამა თუ იმ პირის მიმართ.
ბ) ნამდვილია მთლიანობაში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისია მისი ესა თუ ის ნაწილი.
გ)ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ იურიდიულ ძალას კარგავს შეცილების მომენტიდან.

დ)ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს.

№8

საცილო გარიგებები:

ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ იურიდიული ძალა არ გააჩნია ამა თუ იმ პირის მიმართ.

ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი უვარგისია სამართლებრივად.

გ)ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს.

დ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ შეცილების შედეგად ბათილია დადების მომენტიდან.

№9

თუ მხარეებმა გამოავლინეს ნება, სათანადო წესების დაცვით „ძალაში დატოვონ" მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დიდი ხნის წინ დადეს, მაგრამ საჯარო რეესტრში არ გაუტარებიათ, ნების გამოვლენა ძალაში შედის:

ა) თავდაპირველი ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

ბ) ახალი წერილობითი ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

გ)საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

დ) მხარეთა შეთანხმებით.

№10

მოანდერძის ნების გამოვლენა, რომელიც აკმაყოფილებს ჩუქების, მაგრამ არ აკმაყოფილებს ანდერძის მოთხოვნებს, განმარტებული, როგორც ჩუქება, არის:

ა) გარდაცვლილის ნების გამოვლენის დადასტურება.

ბ) გარდაცვლილის ნების გამოვლენის პატივისცემა.

გ)უფლებამონაცვლეობა.

დ)გარიგების კონვერსია.

3. კ ა ზ უ ს ი

მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გამომცემლობა „სამშობლოში" რეკომენდაცია გაუწია მხატვარ-გრაფიკოს ბეთანელს.

გამომცემლობა „სამშობლოს" დირექტორი, რომელმაც ბეთანელის შესახებ ჩაწერილი მონაცემები დაკარგა, მხატვრის მისამართის ხელმეორედ დასადგენად კურიერის გაგზავნას აპირებდა, როცა მას აცნობეს, რომ გამომცემლობის ფოიეში დირექტორს კითხულობდა მხაზველი ბეთანელი, რომელიც გამომცემლობას თავის სამსახურს სთავაზობდა.

დირექტორმა მიიჩნია რა, რომ სტუმარი სწორედ მხატვარი ბეთანელი იყო, თავის მოადგილეს ტელეფონით დაავალა ბეთანელთან დაედო ხელშეკრულება გამომცემლობისათვის ესკიზების და მაკეტების შესრულების შესახებ.

ბეთანელს ხელშეკრულების ხელმოწერის დროს გადაუხადეს ავანსი 100 ლარი, ხოლო ზოგიერთი მონახაზის წარმოდგენის შემდეგ – 1000 ლარი.

მალე შეცდომა გამომჟღავნდა. გამომცემლობამ უარი თქვა ხელშეკრულების შესრულებაზე და ბეთანელს მოსთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

ბეთანელმა გადაწყვიტა მიემართა სასამართლოსათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანარჩენი თანხის მიღების მოთხოვნით.

გადაწყვიტეთ ეს დავა.

ტესტი II

გარიგება, რომელიც იდება უფლებამოსილების არარსებობისას ან მისი გადამეტებისას, ითვლება:

ა) ამ პირის სასარგებლოდ დადებულად, თუ წარმოდგენილი პირი არ მოიწონებს მას.

ბ) წარმომადგენლის ინტერესებში დადებულად.

გ)უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში ბათილად.

დ)ბათილად.

ტესტი III

წარმოდგენილი პირის მიერ იმ გარიგების მოწონება, რომელიც წარმომადგენელმა დადო მის სასარგებლოდ, მაგრამ უფლებამოსილების გადამეტებით, წარმოშობს უფლება-მოვალეობებს წარმოდგენილი პირისთვის იმ მომენტიდან, როცა:

ა) დაიდო გარიგება.

ბ) წარმოდგენილმა პირმა გაიგო ამ გარიგების დადების შესახებ.

გ)როცა წარმოდგენილმა პირმა მოიწონა იგი.

დ)როცა წარმომადგენელმა გადასცა შეტყობინება წარმოდგენილ პირს გარიგების დადების შესახებ.

ტესტი IV

პირს, რომელსაც გადაეცა მინდობილობა, შეუძლია გადასცეს სხვა იმ მოქმედების განხორციელება, რომელზეც ის იყო უფლებამოსილი:

ა) თუ ეს არის ამ მინდობილობით განსაზღვრული.

ბ) წინასწარი თანხმობით იმ პირისა, ვინც გასცა მინდობილობა.

გ) იმ პირის შეუტყობინებლობით, რომელმაც გასცა მინდობილობა.

დ)თუ ეს განსაზღვრულია აღნიშნულთან დაკავშირებული მინდობილობით, ხოლო თვითონ მას არ შეუძლია ასეთი მოქმედების განხორციელება.

ტესტი V

მინდობილობა, რომელიც შეიცავს მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების სხვისთვის გადაცემას, უნდა გაიცეს:

ა) ზეპირი ფორმით.

ბ) მარტივი წერილობითი ფორმით.

გ)ოტარიული ფორმით.

დ)ნებისმიერი ფორმით.

ტესტი VI

კანონით წარმომადგენლობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა:

ა) უფლებამოსილების გადაცემას საფუძვლად უდევს მინდობილობა.

ბ) პირები, რომლებიც ასაკის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო მოკლებულნი არიან ინდივიდუალურად საკუთარი უფლება-მოვალეობების განხორციელებასა და ვალდებულებების შესრულებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი თვითონ ახორციელებს უფლება-მოვალეობებს.

გ) ასაკის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო საკუთარი უფლება-მოვალეობების განხორციელების შეუძლებლობის გამო მათ ახორციელებენ მშობლები, მზრუნველები ან მეურვეები.

დ) უფლებამოსილების გადაცემა არ ხდება კანონით.

ტესტი VII

პირდაპირია წარმომადგენლობა, როცა:

ა) წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი სახელით და იურიდიული შედეგები ჯერ მის მიმართ დგება, შემდეგ – წარმოდგენილი პირის მიმართაც.

ბ) წარმომადგენელი მოქმედებს წარმოდგენილი პირისთვის, მაგრამ საკუთარი სახელით.
გ) წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი ინტერესებისთვის და სახელით.
დ) წარმომადგენელი მოქმედებს წარმოდგენილი პირისთვის და მისი სახელით, ხოლო იურიდიული შედეგები დგება უშუალოდ წარმოდგენილი პირის მიმართ.

ტესტი VIII

რწმუნებულებაში მოიაზრება:
ა) კონკრეტული პირისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება, რომლის გარეგნულ ფორმას წარმოადგენს მინდობილობა.
ბ) კონკრეტული პირისთვის კანონის საფუძველზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება.
გ) კანონისმიერი წარმომადგენლობა.

ტესტი IX

მრჩევლები და თარჯიმნები:
ა) არიან წარმომადგენლები.
ბ) არ არიანწარმომადგენლები.
გ) არის იურიდიული პირები.
დ) „ა“ და „ბ“ პუნქტები.

ტესტი X

წარმომადგენლად არ ითვლება:
ა) შიკრიკი, ვინაიდან მას ევალება მხარის ნების გადაცემა საკუთარი ნების გამოუხატველად.
ბ) მშობლები, მეურვეები.
გ) მზრუნველები.
დ) ადვოკატები.

3. კაზუსი

საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებით გამგზავრების წინ ჭარბაძემ თხოვა თავის კოლეგას და ახლობელს მეშველიას შეეძინა მისთვის – ჭარბაძისათვის პატარა აგარაკი. მომავალი მივლინების დასადასტურებლად ჭარბაძემ მეშველიას გადასცა მოწვევის ბარათი საერთაშორისო ორგანიზაციიდან. მეშველიამ ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ შეძლო ჭარბაძისათვის აგარაკის გამოძებნა და გადაწყვიტა იგი შეეძინა კიდეც.

როცა აგარაკის გამყიდველმა და მეშველიამ აგარაკის (მიწის ნაკვეთის და სახლის) ნასყიდობის ხელშეკრულების დასამოწმებლად სანოტარო ბიუროს მიმართეს, ნოტარიუსის თანაშემწემ მეშველიას მოსთხოვა აღნიშნული გარიგების შესრულების უფლებაზე მინდობილობის წარმოდგენა. იმის გამო, რომ მეშველიას ასეთი დოკუმენტი არ გააჩნდა, მას უარი უთხრეს ჭარბაძის სახელზე აგარაკის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე.

რამდენად შეესაბამება ნოტარიუსის თანაშემწის პასუხი კანონს?

3. კაზუსი

არაკომერციულმა გაერთიანებამ, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გარდაცვლილი ქართველი მწერლის მუზეუმის გახსნას აპირებდა, თხოვნით მიმართა მოქალაქეებს მწერლის პირადი ნივთების, ხელნაწერების დოკუმენტების საჩუქრად ან სასყიდლით გადმოცემის შესახებ. სხვა ნივთებთან ერთად მწერლის შორეული ნათესავებისაგან შეიძინეს საწერი მაგიდა და საწერი მოწყობილობები, რომლებიც თითქოს მწერალს ეკუთვნოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთმა ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ, რომელმაც შესყიდული ნივთები დაათვალიერა, განაცხადა, რომ საწერ მაგიდას მწერალთან არავითარი მიმართება არ აქვს, საწერი მოწყობილობები კი ნამდვილად მწერალს ეკუთვნის.

რა მოთხოვნები შეიძლება წაეყენოს გამყიდველს?

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე წინიძე
გამოცდის შეფასება: 40 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 სთ.

ბილეთი №8

თეორიული საკითხი ფასდება 20 ქულით, ყოველი ტესტი – 1 ქულით, კაზუსი – 10 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კაზუსის ამოსახსნელად.

1. წარმომადგენლობა გარიგებებში

2. შეარჩიეთ სწორი პასუხი ქვემორე ტესტებზე:

ტესტი I

პირი, რომელიც დებს გარიგებას სხვა პირის სახელით უფლებამოსილების ძალით, რომელიც ეძლევა უფლებამოსილ პირს კონკრეტული სახელმწიფო ორგანოსგან, ჰქვია:
ა) კომერციული წარმომადგენელი.
ბ) საკონკურსო მმართველი (ბანკროტის დროს).
გ) წარმომადგენელი.
დ) არც ერთი.

ბ) მხოლოდ ორმხრივი და მრავალმხრივი.
გ)ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი.
დ)მხოლოდ ცალმხრივი და მრავალმხრივი.

№4

ცალმხრივ გარიგებებს განეკუთვნება:
ა) დაზღვევის ვალდებულება.
ბ) დავალების ვალდებულება.
გ)მიბარების ვალდებულება.
დ)უარი მემკვიდრეობაზე.

№5

ცალმხრივი ნების გამოვლენა წარმოშობს მოვალეობებს:
ა) პირისთვის, რომელიც ავლენს ნებას.
ბ) სხვა პირებისთვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
გ)სხვა პირებისთვის, თუ ისინი მოიწონებენ ნების გამომვლენი პირის მოქმედებას.
დ)პირებისთვის, რომლებიც „ა" და „გ" პუნქტებშია მითითებული.

№6

ორმხრივ გარიგებებს განეკუთვნება:
ა) მინდობილობის გაცემა.
ბ) ხელშეკრულების შესრულება.
გ)ნასყიდობის ხელშეკრულება.
დ) კონკურსის საჯაროდ გამოცხადება ომის წლების საუკეთესო სიმღერებზე.

№7

ორმხრივ გარიგებად ჩაითვლება გარიგება, რომლის დადებისთვის აუცილებელია:
ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის წინასწარი თანხმობა.
ბ) ორი მხარის შეთანხმებული ნების გამოვლენა.
გ)ერთი მხარის ნების გამოვლენა მეორე მხარის ინტერესებისთვის.
დ) მესამე მხარის ნების გამოვლენა გარიგების დადებისათვის ორ მხარეს შორის.

№8

ორმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია:
ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის წინასწარი თანხმობა.
ბ) ორივე მხარის შეთანხმებული ნების გამოვლენა.
გ)ერთი მხარის ნების გამოვლენა მეორე მხარის ინტერესებისთვის.
დ)მესამე მხარის ნების გამოვლენა დანარჩენ ორ მხარეს შორის გარიგების დასადებად.

№9

გარიგებები იდება:
ა) მხოლოდ სანოტარო ფორმით.
ბ) მხოლოდ უბრალო წერილობით ფორმით.
გ)მხოლოდ ზეპირად, მაგრამ ორი მოწმის თანდასწრებით.
დ) ზეპირად, წერილობითი ფორმით და კონკლუდენტური მოქმედებით.

№10

გარიგება იურიდიული პირებისა ურთიერთშორის და მოქალაქეებთან უნდა დაიდოს აუცილებლად:
ა) ზეპირად.
ბ) დუმილით.
გ) უბრალოდ წერილობითი ფორმით.
დ) ნებისმიერი ფორმით.

კაუზალურ გარიგებებს განეკუთვნება:
ა) სესხის ხელშეკრულება.
ბ) კონოსამენტი.
გ)თამასუქი.
დ) ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი.

№8

აბსტრაქტულ გარიგებებს განეკუთვნება:
ა) საკრედიტო ხელშეკრულება.
ბ) თამასუქი.
გ)საბანკო ანაბრის ხელშეკრულება.
დ)საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება.

№9

გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლები მითითებულია:
ა) მთავრობის დადგენილებებში.
ბ) პრეზიდენტის ბრძანებულებებში.
გ)სამოქალაქო კოდექსში.
დ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

№10

გარიგება ბათილად იქნება აღიარებული:
ა) მისი ცალმხრივი რესტიტუციის მომენტიდან.
ბ) მისი ორმხრივი რესტიტუციის მომენტიდან.
გ)სასამართლოს მიერ ამ გარიგების ბათილად აღიარების მომენტიდან.
დ) მისი დადების მომენტიდან.

3. კ ა ზ უ ს ი

13 წლის ბეთანელმა 17 წლის კაზაკოვასთან მოახდინა გაცვლა: მას გადასცა ახალი ველოსიპედი, სანაცვლოდ კი მიიღო ძველი რადიო.

ბეთანელის მშობლებმა მიმართეს ადვოკატს, რათა ეს უკანასკნელი მათ დახმარებოდა ველოსიპედის დაბრუნებაში.

ადვოკატმა მშობლებს აუხსნა, რომ ბებიამ ბეთანელს ველოსიპედი დაბადების დღის აღსანიშნავად აჩუქა და მას უფლება ჰქონდა, ნაჩუქარი ისე განეკარგა, როგორც სურდა.

გარდა ამისა, ბეთანელმა დაკარგა რადიო, რომელიც მან კაზაკოვისგან მიიღო.

სწორად გადაწყვიტა თუ არა დავა ადვოკატმა?